# თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

## ოქმი №10

ქ. თბილისი

2018 წელი, 16 თებერვალი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ზექა დავითულიანი, დავით უთმელიძე, გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

გაიოზ თალაკვაძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი
ცოცა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი
გიორგი ბაგრატიონი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქ სამსახურის უფროსი.
თემურ ბოლოთაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი
თამარ კაციტაძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი
გვანცა ნიკოლაიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318044124-03)

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 0318044120 03);

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 0318044120-03);

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180461-03).

5. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453 03)

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318044120-03);

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - შ.პ.ს. „მწვანე ქალაქის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12 03180436 03)

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318044120-03);

9. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე 2 ნაწილებით, 39 ე მუხლით, 43 ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა- ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453 03)

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453-03)

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453-03)

12. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.29.076; №81.02.29.056; №81.02.29.066; №81.02.29.075) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ (საკრებულოს - **№12-031804647-03 15.02.2018)**

13. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან", სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს - **№12-031804635-03 15.02.2018)**

14. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.05.340) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ №12-03180433-03 (საკრებულოს - **№12-03180433-03 12.02.2018)**

15. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.13.655; №81.02.13.644; №81.02.13.645; №81.02.13.642; №81.02.13.643; №81.02:13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ №12 03180442 03 (საკრებულოს - **№12 03180442 03 13.02.2018)**

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - **№12-031804646-03 15.02.2018)**

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით** (12-0318044124-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის

„საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში, პირველ ეტაპზე ჩარიცხული 186,0 ათასი ევროს ოდენობით, რაც ეროვნული ვალუტის კურსით შეადგენს 576,7 ათას ლარს, შესაბამისად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 576,7 ათასი ლარით, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეხმარება და ხელს შეუწყობს ბიზნეს აქსელერატორის შექმნაში, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნეს გეგმების შექმნაში და სხვა. გრანტის ხანგძლივობა მოიცავს ოთხ წლიან პერიოდს და სულ შეადგენს 506,6 ათას ევროს. გარდა ამისა, პროექტში გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენება 34 677,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 34 652,7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხიდან არსებული ნაშთი 25,2 ათასი ლარი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 35 254,6 ათასი ლარით და შეადგენს 896 863,6 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით იზრდება ბიუჯეტის გადასახდელებიც.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გადანაწილების შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 15 716,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 31 221,1 ათასი ლარით, ავტობუსების შესაძენად; 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი 2 წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 25,2 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვაკის რაიონში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 2017 წელს ჩარიცხული თანხიდან არსებული ნაშთის ფარგლებში; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 3 798,7 ათასი ლარით, თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოწყობისა და ხე-მცენარეების შეძენა-მოვლისთვის; ევროკავშირის გრანტის ფარგლებში იზრდება ბიზნესის სტიმულირების (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 576,7 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები 4 100,0 ათასი ლარით, საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრებისა და კაპიტალური რემონტებისათვის; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების (კოდი 07 02 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 717,8 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის, მათ შორის შრომის

ანაზღაურება 615,0 ათასი ლარით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მერიის ადმინისტრაციიდან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის, რაიონის გამგეობებიდან მომსახურების განყოფილებების, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების თანამშრომლების ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში გადასვლას, შესაბამისად იზრდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციები, შესაბამისად ამ მიზნით (საკანცელარიო, საფოსტო ხარჯები და სხვა) იზრდება სააგენტოს ასიგნებები 420,7 ათასი ლარით. ასევე, იზრდება სააგენტოში საშტატო რიცხოვნობა 158 ერთეულით, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების ნაწილში 1 967,8 ათასი ლარით გაზრდას, ხოლო ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა დანარჩენი ხარჯების გათვალისწინებით იზრდება სააგენტოს ასიგნებების მოცულობა 1 870,0 ათასი ლარით, ხოლო რაიონის გამგეობებში რიგის მართვის სისტემების შეძენისათვის 200,0 ათასი ლარით, სულ საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება 4 458,4 ათასი ლარით; იზრდება მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) 3 364,1 ათასი ლარით, ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის რემონტის, ზედამხედველობის სამსახურისათვის ავტომობილების შესაძენად და ქალაქის ბრენდინგისათვის, ასევე საშტატო რიცხოვნობის ზრდიდან გამომდინარე იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი იურიდიულ საქალაქო სამსახურში (კოდი 10 12 ) 12,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობაში (კოდი 10 35) – 117,0 ათასი ლარით საშტატო რიცხოვნობის ზრდისა და ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით საოფისე ხარჯებისათვის. ასევე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში (კოდი 10 07) 855,3 ათასი ლარით, მათ შორის საშტატო რიცხოვნობის ზრდიდან გამომდინარე იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი - 209,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს დაემატა შემდეგი ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები: უფასო სასადილოების ბენეფიციართა რეგისტრაციისა და აღრიცხვის უზრუნველყოფის (კოდი 06 02 14 16) ქვეპროგრამა - 259,0 ათასი ლარის ოდენობით; ქ.თბილისის 3 მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (კოდი 10 40) – 17,8 ათასი ლარის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 831,5 ათასი ლარის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 625,4 ათასი ლარის და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 45) – 637,0 ათასი ლარის ოდენობით.

**მცირდება:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე, მცირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები 5 408,8 ათასი ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული

ერთეულებისა და რაიონის გამგეობების ახალი საშტატო ნუსხების დამტკიცების შედეგად, მოხდა სახელფასო ნაწილის გადაანგარიშება, შესაბამისად შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული რესურსი ჯამურად შემცირდა 1 882,0 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით შემცირდა მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები 8 425,8 ათასი ლარით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები შემცირდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება ასიგნებები 7 565,6 ათასი ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) – 410,8 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 67,9 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 286,1 ათასი ლარით, გზების მოვლა შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 494,3 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 684,3 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 235,2 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) 282,4 ათასი ლარით, გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 6,5 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 15,5 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 82,6 ათასი ლარით; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) 5 000,0 ათასი ლარით ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 2 766,4 ათასი ლარით, მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) 97,7 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 1 894,7 ათასი ლარით, საპროექტო–სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) 4 – 69,1 ათასი ლარი; სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 30,0 ათასი ლარით; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) – 100,2 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება. (კოდი 02 09 08) – 8,1 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 28,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 19,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 177,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) 69,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 89,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 74,1 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 96,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 11,8 ათასი ლარით; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 645.8 ათასი ლარით, მათ შორის: დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 645,8 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია თბილსერვის ჯგუფიდან შესაბამისი ფუნქციის ზედამხედველობის სამსახურზე გადაცემით. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 44,3 ათასი ლარით, მათ შორის: თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 44,3 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ახალი საშტატო განრიგის დამტკიცებით, რომლის თანახმად მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 22,1 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 13,3 ათასი ლარით, მცირდება კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებები, რაც გამოწვეულია რაგბის კომპლექსისთვის მოაჯირებისა და სამაყურებლო სკამების მოწყობის სამუშაოების ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე), კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 5,8 ათასი ლარით; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 3,0 ათასი ლარით; ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები მცირდება 5 318,1 ათასი ლარით, მათ შორის: მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) ასიგნებები 1 202,0 ათასი ლარით, საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) – 43,0 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) - 75,0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 35,0 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (კოდი 10 08) - 26,0 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 210,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 178,0 ათასი ლარით (სამსახურს შეეცვალა სახელწოდება - ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური), ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (კოდი 10 11) – 625,4 ათსი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 28,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური (კოდი 10 20) – 741,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) – 70,3 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 102,3 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 186,7 ათასი ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 52,9 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 112,2 ათასი ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 68,4 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 56,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 97,5 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 156,4 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 12,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 158,0 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 2,0 ათასი ლარით, კულტურის საქალაქო სამსახური (კოდი 10 38) – 544,1 ათასი ლარით, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 39) – 535,9 ათასი

ლარით. ასევე, დაზუსტდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ცალკეული სამსახურების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხოვნობები.

*წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი №12-0318044124-03 - 13.02.2018წ), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **12** დეკემბრის **N17-51** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 0318044120 03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, ზ/აღნიშნულ წესში შესატანი ცვლილებებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, 2018 წლის 22 თებერვლიდან, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N1/-51 დადგენილებით დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელებს ელექტრონული პროგრამის საშუალებით საქმის წარმოებასა და მომსახურებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**3.** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016** წლის **24** მაისის **N14-39** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318044120-03);

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის წარმომადგენელმა ქალბატონმა გვანცა სიკოლეიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ 34-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს თბილისის მიერ განაშენიანების ძირითადი დებულებებისგან განსხვავებული ან/და დამატებითი მოთხოვნებისა და პირობების დადგენას.

ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარება საჭიროებს განაშენიანების რეგულირების ახალი პრინციპების დადგენას, ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას, ასევე ქალაქგეგმარებითი კვლევის პროცესისა და ადმინისტრაციული წარმოების წესის სრულყოფას. აუცილებელია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავებაში თბილისის მერიის სხვადასხვა დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობა, რომლებიც ქალაქის განვითარების ხედვაში სპეციალიზებული და სავალდებულო დასკვნებით მიიღებენ მონაწილეობას.

წარმოდგენილი ცვლილების მიზანია ზ/აღნიშნული პრინციპების განაშენიანების რეგულირების წესებში ნორმატიული რეგულირების სახით ასახვა. განსახორციელებელი ცვლილებები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ ასპექტებს:

ა) ურბანული განვითარების პროცესში სამშენებლო ტერიტორიის გამწვანების უზრუნველყოფა - ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი და წინაპირობა საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად ასევე ხდება მწვანე ინფრასტრუქტურა.

წარმოდგენილი ცვლილების მიზანი განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილ ურბანულ გადაწყვეტაში ეკოლოგიური საჭიროების გათვალისწინება - მწვანე ნარგავებით გასაშენებელი ტერიტორიის გამოყოფის ვალდებულებაა.

გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20% მწვანე ნარგავების გასაშენებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რაც შეეხება განაშენიანებულ ტერიტორიას, ამგვარ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმით მწვანე ნარგავების გაშენების გათვალისწინება დამოკიდებული იქნება წინა საპროექტო კვლევაზე. წინა საპროექტო კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის პირველი ეტაპის - გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის აუცილებელი დოკუმენტია

დაგეგმარებითი გადაწყვეტისათვის ყველა აუცილებელ საკვლევ მონაცემს მოიცავს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებებით კი სავალდებულო ხდება ამგვარ ცვლილებაში მწვანე ნარგავების დეტალური აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების ასახვა.

ამასთანავე, გეგმარებითი დავალების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის თემატური ნაწილი ასევე უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას - გამწვანების პროექტის ჩათვლით.

გარემოს დაცვითი საკითხების გათვალისწინებით განხორციელდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება. განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში გათვალისწინებულია სავალდებულო სამსახურად გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა, რომლის დარგობრივი დასკვნის გათვალისწინება ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებისათვის სავალდებულო ხდება.

ბ) წარმოდგენილი ცვლილებებით ურბანული განვითარების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამშენებლო ტერიტორიის სატრანსპორტო და საინჟინრო უზრუნველყოფას, ურბანული განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი სატრანსპორტო პოლიტიკა ხდება.

განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული გაუნაშენიანებელი ტერიტორიის განვითარება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით, ხოლო ამგვარი უზრუნველყოფის დადასტურება განაშენიანების რეგულირებისგეგმის დამუშავების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვით განხორციელდება.

სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულო ხდება ასევე ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში, ისევე როგორც კ-1 და კ 2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისა და გამოყენების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებზე დაშვებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა უზრუნველყოფს არამხოლოდ სივრცით მოცულობითი თვალსაზრისით კოეფიციენტის გადამეტების მიზანშეწონილობის შეფასებას, არამედ სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებითაც, რაც მდგრადი ურბანული განვითარების წინაპირობაა.

გ) ცვლილებების მიზანი გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების წესის, ასევე წინასაპროექტო კვლევით გათვალისწინებული მონაცემებისა და საპროექტო არეალის ცნებების სრულყოფაა. წარმოდგენილი ცვლილებებით, სატრანსპორტო და გამწვანების საკითხები ურბანულ პოლიტიკასთან ინტეგრირდება და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების ეტაპზე ურბანულ დაგეგმარებაზე, გარემოს დაცვასა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობენ შესაბამისი დასკვნების წარდგენის გზით, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა. აღნიშნული სამსახურების მონაწილეობა უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, ისევე როგორც ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების თაობაზე ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას. ქალაქის ურბანული საკითხების გადაწყვეტა ურბანული განვითარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით ხორციელდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წინასაპროექტო კვლევის მონაცემებისა და წინასაპროექტო კვლევის არეალის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განსაზღვრა, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, რასაც წარმოდგენილი ცვლილებები ემსახურება.
დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულებით" გათვალისწინებული ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფლებამოსილებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14 39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" რიგ ნორმებში ნაცვლად მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოსა, მიეთითა ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.
„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი ცვლილებით ზუსტდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ 1) დეფინიცია და მუნიციპალიტეტის/ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, ამგვარ ფუნქციურ ზონაში განთავსებულ უძრავ ნივთზე დასაშვებად იქნება მიჩნეული ავტოსადგომების განთავსება/დაგეგმვა.

*კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა რიგ მუხლებთან დაკავშირებით, კერძოდ,*

დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით,

„მუხლი 9. თბილისის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა

1. თბილისის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, მათ შორის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების პროცედურა განისაზღვრება განაშენიანების მირითადი დებულებებით, ამ მუხლით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. თბილისის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურის განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჯაროობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. აღნიშნული ეტაპების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

ა) I ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 20 დღე;

ბ) II ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 30 დღე.

4. განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს თბილისის მერიის სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულები ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები.

6. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტებს:

ა) I ეტაპი–განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

ბ) II ეტაპი–განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტები თბილისის მერის მიერ წარედგინება თბილისის საკრებულოს.

9. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება განაშენიანების ძირითადი დებულებებით, ამ მუხლით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

10. ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის შესაბამისად ახორციელებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართოს თბილისის მერიის სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულები ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები.

12. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტით მოწონებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მთავრობის განკარგულების შესაბამისად ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის პროექტს.

14. ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადებას უნდა დაერთოს განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინასაპროექტო კვლევა ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პერიმეტრზე.

15. დაგეგმარებითი ამოცანებისათვის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი მონაცემები ამ მუხლის მე 14 პუნქტით გათვალისწინებული წინასაპროექტო კვლევისათვის და ყველა ცალკეულ შემთხვევაში კვლევის არეალი, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს ამავე პუნქტით განსაზღვრულ პერიმეტრს.

16. ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების შესახებ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს საინფორმაციო დაფა (მინიმალური გაბარიტი - A2 ზომის ფორმატი), რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას განსახილველი ტერიტორიის არსებული და შემოთავაზებული ფუნქციური ზონის შესახებ;

ბ) ინფორმაციას დაინტერესებული პირის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო მონაცემებს;

გ) ფუნქციური ზონების ცვლილების/ დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანასა და ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს/ ორგანოების დასახელებას, მისამართსა და ვებ გვერდის მისამართს, სადაც შესაძლებელია ობიექტის ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე ინფორმაციის გაცნობა.

17. განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია."

მე 18 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. შესაბამისი ფუნქციური ზონით დადგენილი კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის გადამეტების შემთხვევაში, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე, თბილისის მერის გადაწყვეტილებით ცენტრალურ, შუალედურ ზონებში და გეგმარებით კარკასზე შესაძლებელია შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიების (მათ შორის შენობა ნაგებობის ენერგოეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები) განსაზღვრა.".

22-ე მუხლის მე 4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღების თაობაზე განცხადება უნდა წარედგინოს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და ზ/აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180461-03).

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა თემურ ბოლოთაშვილმა მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენდა თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით დამტკიცება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება“, რომლის თანახმადაც სამსახურის ამოცანად განისაზღვრა თბილისის ტერიტორიაზე, აგლომერაციის გათვალისწინებით, მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვა, ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ფუნქციას აღარ წარმოადგენს ქალაქ თბილისის ურბანული განვითარების პოლიტიკის შემუშავება. ასევე შეიცვალა, სამსახურის სტრუქტურა, სამსახურის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები.

სამსახურში დღეს არსებული 13 (ცამეტი) განყოფილების ნაცვლად, იქნება 8 (რვა) განყოფილება. პროექტის თანახმად, სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: იურიდიული განყოფილება, საქმის წარმოების განყოფილება, I და II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება, III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება, ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება, საინჟინრო განყოფილება, საპროექტო განყოფილება, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების განყოფილება.

სამსახურის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს, არქიტექტურული პროცესების მართვა - დადგენილი წესით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა.

პროექტის მიღებას შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული ცვლილებები საფინანსო ეკონომიკური კუთხით, თუმცა აღნიშნული დამოკიდებული იქნება შესაბამისი საშტატო ნუსხის წარდგენასთან.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**5. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453-03)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ხირკაძემ. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 16 იანვარს მიღებული იქნა N10-15 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.“ დადგენილების თანახმად, იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება და ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-66 დადგენილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-15 დადგენილების თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 22 თებერვალი. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის

დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში მოხსენიებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და შესაბამისად საჭიროა მისი ახალი სახელწოდებით ჩანაცვლება.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **12** დეკემბრის **N17-52** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 0318044120 03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-52 დადგენილებაში შედის ცვლილება, კერძოდ, საკრებულოს დადგენილებიდან ხდება მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების დადგენის დაჩქარებული მომსახურების საფასურის ამოღება, ვინაიდან ეს ფუნქცია გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - შ.პ.ს. „მწვანე ქალაქის" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-03180436-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა, კერძოდ, დასაფუძნებელი კომპანიის სახელწოდებაში მოხდება ცვლილება და ნაცვლად შ.პ.ს. „მწვანე ქალაქისა", იქნება შ.პ.ს. „თბილ სერვის ჯგუფი."

შესაბამისად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" **61-ე** მუხლის მე-**2** პუნქტის, **$106^{1}$** მუხლის პირველი და მე-**4** პუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის" დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2018** წლის **31** იანვრის **N04.32.135** განკარგულების თანახმად, საკითხი მომზადებულია, მიეცეს დადებითი შეფასება და ზ/აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**8.** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **12** დეკემბრის **№17-55** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-0318044120-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გოგა გიგაშვილმა.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა რიგ მუხლებთან დაკავშირებით, კერძოდ,

პირველი მუხლის მე-**2** პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" და „თ" ქვეპუნქტები:
„ზ) მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების წესს;
თ) მწვანე ნარგავების გადარგვის წესს.".

პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-**4** პუნქტი:
„4. ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე)."

მე-**2** მუხლის მე-**15** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„15. ნარჩენი - მწვანე ნარგავების დამზადების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, სახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები.";

მე-**20** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. ძირნაყარი მწვანე ნარგავი – მიწაზე დაყრილი წაქცეული ხმელი ხე, მოთხრილ - მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი აგრეთვე მოჭრილი მერქანი, რომელზეც ხე ტყის დამზადების შესაბამისი დოკუმენტი არ არის გაცემული ან გასული აქვს გამოყენების ვადა."

**23**-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

**28**-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„28. უფლებამოსილი ორგანო/ნებართვის გამცემი ორგანო – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ".

მე-**2** მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის **37**-**40**-ე პუნქტები:
„37. კალამი - მცენარის ყოველი აჭრილი ნაწილი, რომლითაც შეიძლება მცენარის გამრავლება.
38. მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორია - მერქნიანი (ხე, ბუჩქი) და არამერქნიანი მცენარეებით დაფარული ტერიტორია.
39. დეგრადირებული მწვანე ნარგავების კორომი - კორომი, სადაც დაწყებულია ძირითადი ნიშან თვისებების დაქვეითება, გაუარესება.
40. გადარგვა - დადგენილი წესით მწვანე ნარგავის ნიადაგიდან ამოღება და გადატანა სხვა მსგავს გარემო პირობებში მისი სიცოცხლისუნარიანობის შემდგომი შენარჩუნების მიზნით.".

მე-**3** მუხლის მე-**2** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდეგში მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი ან შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო რაიონის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით ან მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე.".

მე-**4** მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) სანიტარული ჭრა – სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა;".

მე-**4** მუხლის მე-**2** პუნქტი ამოღებულ იქნეს და მე-**5** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მოვლითი ჭრის ყველა სახე (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) ტარდება 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში, რომლებიც განლაგებული არიან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.”.

**მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. მოვლითი ჭრა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს რჩეული ხეების მინიმალურ დაზიანებას. გავლითი, გამოხშირვითი და გაწმენდითი ჭრების განხორციელების პროცესში ჭრაში დატოვებული ხეების სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტით დაზიანება არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 3%-ს.”.

**მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები, არსებული საშუალებების გათვალისწინებით იგეგმება მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.”.

**მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
მუხლი 19. სპეციალური ჭრა
„1. სპეციალური ჭრა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:
ა) შენობა-ნაგებობების(მათ შორის საფლავის) ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;
ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისას;
გ) მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტრო გადამცემი კომუნიკაციების, არხების მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის ან დემონტაჟისათვის;
დ)ჰიდროკვანძების, ხაზობრივი ნაგებობების, მათ შორის რკინიგზის ხაზების ან ტრამვაის რელსების, საჰაერო საბაგირო გზის, ფუნიკულიორის, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის.
2.სპეციალური ჭრის შედეგად მიღებული მერქნული რესურსის განლაგება ან გადაცემა ხდება უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი გამგეობის მიერ, ამ წესის 22 ე მუხლის შესაბამისად.
3 ამ მუხლის მიზნებისათვის შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს მათი ფასადების, სახურავების, საძირკველის ან/და შიდა პერიმეტრის დაცვას ისეთი დაზიანებისაგან, რომელმაც შემდგომში შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ შენობა-ნაგებობით სარგებლობას.

**მე 19 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $19^1$ მუხლი:**
„მუხლი $19^1$. სპეციალური ჭრის ნებართვის მიღების პროცედურა
1. მუნიციპალიტეტში მწვანე ნარგავების 1 წლამდე ვადით სპეციალურ ჭრაზე გადაწყვეტილებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით

დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად იღებს უფლებამოსილი ორგანო.

2. მუნიციპალიტეტში მწვანე ნარგავების 1 წელზე მეტი ვადით სპეციალურ ჭრაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - მთავრობა).

3. მწვანე ნარგავების სპეციალური ჭრის თხოვნით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს.

4. დაინტერესებული პირის განცხადებაში უნდა აღინიშნოს სპეციალური ჭრის აუცილებლობის მოტივაცია, მიზანი და ვადები. განცხადებას თან უნდა დაერთოს (მათ შორის ელექტრონული ფორმით):

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, ხოლო ფიზიკური პირისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლი;

ბ) მწვანე ნარგავების მოჭრის აუცილებლობის დასაბუთება და ჭრის აღრიცხვის მასალები (ამ წესის დანართი №2-ის მიხედვით);

გ) ინფორმაცია სპეციალური ჭრისათვის შერჩეულ ფართობზე წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის შესახებ;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი დოკუმენტების გარდა უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია საჭიროებისამებრ დაინტერესებულ პირს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტი.

6. ამ მუხლით დადგენილი წესით სპეციალური ჭრის განხორციელებისას, მერქნიანი მცენარეების ვარჯის ფორმირება ხორციელდება წინასწარი აღრიცხვის გარეშე და რესურსის ოდენობა დგინდება ფაქტობრივად დამზადებული მასის ან მოცულობის მიხედვით.“.

**20**[1] მუხლის მე-**2** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მწვანე ნარგავების სხვლა-ფორმირებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, შესაბამისი გამგეობა ან ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური ან/და იურიდიული პირები კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**21-ე** მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** საჭიროების შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა შესაძლებელია განახორციელოს უფლებამოსილმა ორგანომ ან გამგეობამ კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკური/იურიდიული პირის მეშვეობით ხელშეკრულების საფუძველზე ან დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი ნებართვის საფუძველზე.“

პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის **1**[1] პუნქტი:

„1[1]. მწვანე ნარგავების გადარგვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით.“.

**მე-2** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მწვანე ნარგავების გადარგვა ხორციელდება იმავე ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ გარსაზღვრულ ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით.“.

**მე-6** პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის **6[1]** პუნქტი:

„6[1]. ამ მუხლის საფუძველზე გადარგული მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობისას დაინტერესებულ პირზე ვრცელდება ამ წესის 26[1] მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ანგარიშების წარდგენის ვალდებულება.“.

**21**-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის **21[1]** მუხლი:

„მუხლი 21[1]. ხის გადარგვის წინაპირობები

1. ამ წესის 21-ე მუხლის საფუძველზე ხის გადარგვა დაიშვება თუ:
ა) ხე არის საღი და კარგად განვითარებული;
ბ) ხე არ არის წვერხმელი;
გ) ხის ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატება 10-15%-ს;
დ) ხის მერქნის ბოლო წლების საშუალო შემატება არ არის მოცემული სახეობის საშუალო წლიურ შემატებაზე ნაკლები;
ე) ხის დიამეტრი აღემატება 25 სმ ს.
2. ამ წესის 21-ე მუხლის საფუძველზე ხის გადარგვა დაუშვებელია თუ:
ა) ხე არის წვერხმელი ან/და ხმობადი;
ბ) ხეს გააჩნია გულის სიდამპლე ან არის დაავადებული;
გ) ხე არის ხნიერი და ზრდაში შესუსტებული;
დ) ხეს აქვს დაგრეხილი ღერო;
ე) ხის ვარჯი ცალმხრივად არის განვითარებული;
ვ) სწრაფმზარდი სახეობების (ვერხვი, აკაცია, ტირიფი) მწიფე და გადაბერებული ინდივიდებისათვის, რომელთა საამორტიზაციო ხნოვანება 40-50 წელია;
ზ) ხეს აქვს მექანიკურად დაზიანებული ფესვის ყელი და ღერო;
თ) ხე, რომლის რიზოსფერო (კოშის დიამეტრიდან გამომდინარე) 1,5-2,0 მეტრით ემიჯნება შენობა-ნაგებობას;
ი) ხე, რომლის ფესვთა სისტემა გაჩხერებულია დიდი ქანის ბზარებსა და ნაპრალებში.“.

**25**-ე მუხლის მე-**2** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოჭრა ან გადარგვა აკრძალულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი ნებართვის გარეშე.“.

დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-**5** პუნქტი:

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრასა და გადარგვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.“.

26 ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი (ფუტურო), გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების არსებობის შემთხვევაში ასეთი ხეების შესაძლო წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის და სხვისი კერძო საკუთრებისათვის ან მისი ცალკეული ელემენტებისათვის საფრთხის შექმნისა და ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი თავისუფლდება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების ვალდებულებისგან;“.

პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მწვანე ნარგავები პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს ხდის მშენებლობის განხორციელებას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვებია მხოლოდ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის შემდგომ. ამასთანავე, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების (რომელშიც არ ითვლება ბოლო 1 წლის განმავლობაში დარგული მერქნიანი მცენარეები) 25%-ს;“.

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი, დრო და ჭრის ხანგრძლივობა (ჭრის პერიოდი) წერილობით შეუთანხმოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და უფლებამოსილ ორგანოს, რომლის წარმომადგენელიც უნდა ესწრებოდეს მწვანე ნარგავების ჭრას.“.

$26^1$ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. კერძო მესაკუთრის მიერ მოჭრილი ხმელი მწვანე ნარგავის სანაცვლოდ, ნებართვის ფარგლებში დაკისრებული საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე ტერიტორიაზე ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.“;

მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) წიწვოვანი ხე-მცენარის ნერგის დარგვის შემთხვევაში დარგული უნდა იქნეს, სულ მცირე 3 მეტრი სიმაღლის ნერგი, ხოლო ფოთლოვანი ხე-მცენარის ნერგის დარგვის შემთხვევაში, სულ მცირე 3.5მეტრი სიმაღლის ნერგი.“.

მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით (მცენარის სახეობა), მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ნორმების დაცვით. საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი, დრო და რგვის ხანგრძლივობა (დროის პერიოდი) წერილობით უნდა შეთანხმდეს უფლებამოსილ ორგანოსთან, რომლის წარმომადგენლებიც უნდა ესწრებოდნენ საკომპენსაციო რგვის პროცესს.“.

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კერძო მესაკუთრე მისთვის სერვიტუტის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების (შესაბამის დროს საკომპენსაციო რგვის ჩატარების ვალდებულება და შემდგომი მოვლა-პატრონობა) შესრულების შედეგების შესახებ უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს ანგარიშს სამ თვეში ერთხელ. უფლებამოსილი ორგანო ეცნობა და ადასტურებს აღნიშნული ანგარიშში წარმოდგენილ შედეგებს და ადგილსამყოფლებზე ამოწმებს.“

26[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. სათანადო წესით მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით მშენებლობის ნებართვის მაძიებელს შესაძლებელია დაეკისროს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების ვალდებულება.“;

დაემატოს შემდეგი შინაარსის მე 8 პუნქტი:

„8. თუკი საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული მწვანე ნარგავი არაჯეროვანი მოვლის ან ბუნებრივი პირობების გამო გახმა რგვიდან 3 წლის განმავლობაში, კერძო მესაკუთრეს დაევალება ხელახალი საკომპენსაციო რგვა.“.

26[1] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 26[2] მუხლი:

„26[2] მუხლი. მუნიციპალიტეტის ვალდებულება ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად ჭრის შემთხვევაში

სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, თუ ჭრის განხორციელება გამოწვეულია მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტის ეფექტიანად განხორციელებით, მუნიციპალიტეტი აღნიშნული პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო თანხას.“.

27[1] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირს (პირებს) წარმოადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საჯარო მოსამსახურე (გარდა $27^3$ მუხლის მე 3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებისას) ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ წესის $27^3$ მუხლის შესაბამისად მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ფიზიკური პირი.“.

**მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული) გარემოსდაცვით სფეროში (აგრონომი, ეკოლოგი, ბიოლოგი და მეტყევე);
ბ) შესაბამის დარგში პრაქტიკული და საექსპერტო მუშაობის გამოცდილება;“.

**$27^2$ მუხლის მე 4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ბ) ექსპერტის განათლების, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის, სამუშაო (მათ შორის, საექსპერტო ორგანოებში მუშაობის) გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ;“

**$27^3$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„მუხლი $27^3$. მონაცემთა ბაზაში ექსპერტთა რეგისტრაცია და ამორიცხვა
1. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის თაობაზე პირი განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს და წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:
ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი);
დ) განათლების და აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამუშაო გამოცდილების, მათ შორის საექსპერტო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ვ) მონაცემები მოქმედი საქმიანობის/სამსახურის, დაკავებული თანამდებობის და სამსახურეობრივი მოვალეობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ზ) სამეცნიერო-კვლევით და გარემოსდაცვითი სფეროში საკონსულტაციო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. პირის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან ამორიცხვა ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელის წერილობითი წარდგინების საფუძველზე გამოცემული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
3. მონაცემთა ბაზიდან ექსპერტის ამორიცხვა ხორციელდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) "კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში;

გ) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ექსპერტის გარდაცვალების შემთხვევაში.

**$27^4$** მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის **$27^5$** მუხლი:

„მუხლი$27^5$. დაინტერესებული პირის მიერ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების წარდგენა

1.მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების ამ წესის მოთხოვნათა დაცვით განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწვანე ნარგავების აღწერასა და მდგომარეობას დაადასტურებს (დაადასტურებენ) მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი (პირები).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მწვანე ნარგავების აღწერა და მათი მდგომარეობის შესახებ დასკვნა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა წარუდგინოს დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის მიღების შესახებ განაცხადის შეტანისას."

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**9.** „ნარჩენების მართვის კოდექსის **31**-ე-**35**-ე მუხლებით, **36**-ე მუხლის პირველი და მე-**2** ნაწილებით, **39**-ე მუხლით, **43**-ე მუხლის პირველი ნაწილითა და **46**-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა- ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ნარჩენების მართვის კოდექსი (ძალაში შევიდა 2015 წლის 15 იანვარს), რომელიც ადგენს მუნიციპალიტეტის მთელ რიგ უფლებამოსილებებს ნარჩენების მართვის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების მიმართ. კერძოდ, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ან მათ მიერ განსაზღვრული პირები (ფიზიკური ან იურიდიული პირები) უფლებამოსილნი არიან დააჯარიმონ სამართალდამრღვევები გარემოს დაბინძურებისა და ნარჩენების მართვის სფეროში ჩადენილი გადაცდომისათვის.

ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ნარჩენების მართვის კოდექსით" გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილების ფორმით. ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად რიგი მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ფორმას და მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო). „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 16 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N10 5 დადგენილებით (ძალაში შედის 2018 წლის 22 თებერვალს) მიღებულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება", რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს.
შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს დაადგინოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.
პროექტით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**10.** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **N20-96** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453 03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 16 იანვრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N10-5 დადგენილებით (ძალაში შედის 2018 წლის 22 თებერვალს) მიღებული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება", რომლის თანახმად აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის წესების დარღვევაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეაგირების განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს.

პროექტით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**11.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **150**-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **6** აპრილის **№7-32** დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180453-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილება არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება ასევე არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების რეგულირების საგანს, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**12.** ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **№81.02.29.076; №81.02.29.056; №81.02.29.066; №81.02.29.075)** ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ (საკრებულოს **№12 031804647-03 15.02.2018)**

კომისიამ ასევე განიხილა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.29.076; №81.02.29.056; №81.02.29.066; №81.02.29.075) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი №AR154/614)

წერილი №12-031804647-03 - 15.02.2018წ. AR1547614, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელი ტაბახმელაში, არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:#81.02.29.076; #81.02.29.056; #81.02.29.066; #81.02.29.075;) ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 6300კვ.მ-ს, მასზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1), ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სარეკრეაციო ზონა3 (რზ-3) ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ფუნქციით, პროექტი ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ით, ხდება არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და დაყოფა 5 (ხუთ) საკადასტრო ერთეულად; პარამეტრების გადაჭარბება არ არის მოთხოვნილი, ასევე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავი. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით მოსაზღვრე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სურთ გზის მოწყობა, რომელიც ამ ეტაპზე საპროექტო არეალში არ შედის.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა სიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მირითადად მოწონებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი. №81.02.29.076; №81.02.29.056; №81.02.29.066; №81.02.29.075) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი №AR1547614) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**13.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან", სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს - **№12-031804635-03 15.02.2018**)

კომისიამ ასევე განიხილა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან", სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი №AR1559635)

გრგ-ს (წერილი №12-031804635-03. 15.02.2018წ. AR1559635), პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან", სოფელი ლისი, „ჭაობთან" (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: #72.16.17.701, 72.16.17.702), ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 9045 მ2. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 მარტის #78 განკარგულებით დამტკიცდა გრგ ს დავალება ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განსათავსებლად. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბიდან 600 მეტრში, დასავლეთით, ახალ იპოდრომთან. მომიჯნავედ შეთანხმებულია რამდენიმე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის გრგ, რომლის თანახმადაც გაცემულია მშენებლობის ნებართვები. დღევანდელი მდგომარეობით ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2), სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1). პროექტით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1)-ით ცვლილება. საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იყოფა 17 სექტორად, საიდანაც 15 სექტორში განთავსდება საცხოვრებელი სახლები, ხოლო დანარჩენი 2 სექტორი გამოყენებული იქნება სავალი გზისთვის.

წარმოდგენილი გრგ ს პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე ზვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი ქვემო ლისი, „ჭაობთან", სოფელ ლისში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დამტკიცების საკითხი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი* ***№AR1559635)*** *გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**14.** ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე **(საკადასტრო კოდი: №81.02.05.340)** ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ **№12-03180433-03 (საკრებულოს - №12-03180433-03 12.02.2018)**

კომისიამ ასევე განიხილა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.05.340) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტის დასამუშავებლად

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი №AR1539831)

წერილი №12-03180433-03 12.02.2018წ. AR1539831, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელი ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:№81.02.05.340) ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 5900კვ.მ-ს, მასზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ),ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ფუნქციით, პროექტი ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას საცხოვრებელი ზონა 1 (სზ 1) ით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ით, ხდება არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და დაყოფა 6 (ექვს) საკადასტრო ერთეულად, პარამეტრების გადაჭარბება არ არის მოთხოვნილი, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე ნარგავი.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ძირითადად მოწონებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **№81.02.05.340**) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი **AR1539831**) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**15.** ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **№81.02.13.655; №81.02.13.644; №81.02.13.645; №81.02.13.642; №81.02.13.643; №81.02.13.886**) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ №12-03180442-03 (საკრებულოს №12-03180442-03 13.02.2018)

კომისიამ ასევე განიხილა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.13.655, 81.02.13.644, 81.02.13.645, 81.02.13.642, 81.02.13.643, 81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი №AR1543663)

გრგ-ს (წერილი №12-01180442 03 13.02.2018წ AR1543663), პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655, 81.02.13.644, 81.02.13.645, 81.02.13.642, 81.02.13.643, 81.02.13.886) ჯამური ფართობი შეადგენს 10 533 კვ.მ. საპროექტო არეალი და მისი მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია. მასზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა, საპროექტო გადაწყვეტით დაგეგმილია აღნიშნული 6 მიწის ნაკვეთის გაერთიანება 4 საკადასტრო ერთეულად, რომელსაც მიენიჭება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). აღნიშნულ ნაკვეთებზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. გრგ პროექტით არ იგეგმება პარამეტრების გადამეტება. მიწის ნაკვეთები, თავიანთი კონფიგურაციიდან და ფართობიდან გამომდინარე აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონა 1 სთვის (სზ-1) დადგენილ პარამეტრებს. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილის მიხედვით საპროექტო ტერიტორიას კვეთს მიწისქვეშა და საჰაერო საკომუნიკაციო ქსელები. აღნიშნულთან მიმართებში გათვალისწინებული და დაცული უნდა იქნას წერილში განსაზღვრული პირობები.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ პაიჭაძე.

წარმოდგენილი გრგ-ს პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **№81.02.13.655, 81.02.13.644, 81.02.13.645, 81.02.13.642, 81.02.13.643, 81.02.13.886**) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული განაცხადი **№AR1543663**), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

**16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს - №12 031804646-03 15.02.2018)**

კომისიამ ასევე განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-031804646 (03 - 15.02.2018წ) საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". აღინიშნა, რომ მითითებული წერილით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შესაბამისად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 1 წინადადება, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში 2017 წლის 07 დეკემბრის AR1563107 განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.270, №01.11.05.029.271, №01.11.05.029.222) და მიმდებარედ (ფართობი 10979 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის (ს 1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ან სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3).

განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ფუნქციურ ზონებში - საცხოვრებელი ზონა 6-ში (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 5 ში (სზ-5) და სარეკრეაციო ზონა 3 ში (რზ 3), დასაშვებია ბავშვთა ინტერნატის განთავსება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთების სიახლოვეს „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩაზე სოფლის შემოგარენში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.025; 01.11.05.029.259; 01.11.05.029.258) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №298 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვით ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), მიზანშეწონილია №01.11.05.029.270, №01.11.05.029.271, №01.11.05.029.222 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6 ით (სზ-6) (10979კვ.მ).

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე.

წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილება ძირითადად მოწონებულ იქნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი* ***(წერილი№12-031804646-03. 15.02.2018წ., AR1563107)*** *საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს* ***2014*** *წლის* ***30*** *დეკემბრის* ***№20-105*** *დადგენილებაში ცვლილების შეტანის* ***1*** *წინადადება, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე